ოქმი:**ო31. 3123111001**
თარიღი:**21/04/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №4

ქ. ლანჩხუთი

13. 04. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** დამსწრე საზოგადოებას წინასწარ მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და აღნიშნა, რომ ამ დღეს

სოფელ შუხუთში ტრადიციულად გაიმართება ლელო ბურთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 -ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 25 აპრილი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 -ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არა უმეტეს 2 წლის ვადით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა (კანცელარიის ნომერი N 19/302229913 – 30; 26.10.2022 წ) შ.პ.ს. „ ავტო 2018 „-ის (ს/კ 433649741) დირექტორმა დავით გოგუაძემ (მცხოვრები ქ. ლანჩხუთში გოჩა კვირკველიას ქუჩა N 10-ში) რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ.-ის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გადაეცეს განმცხადებელს სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ-ი. - წლიური საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს 19.329 კვ.მ ფართის ღირებულების - 12 294 ლარი -ის 10% -ით რაც შეადგენს 1 230 ლარს - ხოლო ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ არ მიაჩნია სწორად პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემა და საერთოდ, არსებობს აუქციონის წესი, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს აბსოლუტურად ყველა ქონების გადაცემა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შ.პ.ს. „ავტო 2018 -ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომსხენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი, მე-2,მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით,პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მერს 2023 წლის 31 მარტს N 10/302309034 წერილით მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩა N 11-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 27.06.51.027 (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უზუფრუქტით გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრ“-ს უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩა N 11- შიNმდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 27.06.51.027 (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“-ს დირექტორი განცხადების მიხედვით, ითხოვს საცურაო აუზის გადაცემას, რათა უზრუნველყოს მისი მოვლა-პატრონობა. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ა(ა)იპ-ის ფინანსები თუ გასწვდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** განმარტა, რომ ობიექტს ესაჭიროება რემონტი. ამიტომ, უნდა გადაეცეს იმ სუბიექტს, ვინც იქაა განთავსებული და რეალურად ფუნქციონირებს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ობიექტი შეტანილი უნდა იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში და გავიდეს აუქციონზე, რის შემდეგაც, კერძო ინვესტორი საცურაო აუზს გაარემონტებს და მოაწესრიგებს შესაბამისი სტანდარტის მიხედვით. მოსახლეობა კი გარკვეული გადასახადის სანაცვლოდ მიიღებს შესაბამის სერვისს. გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმნენ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე მახათაძე,** რომელმაც თავის მხრივ აღნიშნა, რომ უფრო მიზანშეწონილია ეს თანხა მიიმართოს გვიმბალაურში, ყოფილი ფეხბურთის აკადემიის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, რის შედეგად მუნიციპალიტეტს ექნება ნამდვილად კარგი, გამართული სპორტული ცენტრი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი

საქართველოსთვის“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ, განკარგულების მიღების თარიღად ნაცვლად 2022 წლისა, დაფიქსირებულია 2023 წელი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N17 განკარგულებაში შეცდომის გასწორების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის მარტის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1545314,75 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1513614,75 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1208940,196 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 22,7 %-ს; დღგ-მ შეადგინა 949250,53 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 23,85 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 9336,76 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 1711,21 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია235376,82 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2903,57 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 197831,81 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის მარტის თვეში შემოსულობებმა 2754254,946 ლარი შეადგინა.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 64085,21 ლარი. მარტის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 1699965 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1756910 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 1711087 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 213935 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 873979 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 01/05/2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016360) უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება“-ს მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3.

საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს წევრთა შემადგენლობას და ოდენობას განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საბჭოს თავმჯდომარეა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით).

3. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს (გადაწყვეტილების მიღების ხმის უფლებით):

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები;

ე) საბჭოს წევრები სათათბირო ხმის უფლებით არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მინიმუმ სამი წარმომადგენელი;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პროგრესის ვექტორის“ წარმომადგენელი.

5. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელიც არ არის საბჭოს წევრი.

6. საბჭოს სხდომებს ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი.

7. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე.“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და კოლეგებს, რომ მათი მხრიდან დაყენებულ წინადადებებს და ინიციატივებს ყოველთვის უჭერდა მხარს, რათა განხორციელებულიყო ესა თუ ის პროექტი. აქედან გამომდინარე, უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უყურადღებოდ და ყოველგვარი რეაქციის გარეშე დარჩა მის მიერ არაერთგზის გაწეული ძალისხმევა, რათა მუნიციპალიტეტში გაიხსნას კრივის წრე, რაც ასევე ახალგაზრდა თაობის თხოვნასაც წარმოადგენს. მან კიდევ ერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტის მესვეურთ და საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს, რომ დაისახოს ღონისძიებები და გამოინახოს თანხა, რათა მოგვარდეს აღნიშნული საკითხი, მით უმეტეს, როცა მოზარდი თაობა მოწადინებულია დაკავდეს კრივით და შეიკრიბება დიდი კონტინგენტი. მისი თქმით, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული დარბაზი შეიძლება გარემონტდეს და შეიქმნას ისეთი პირობები, რომლითაც ისარგებლებს როგორც კრივის, ასევე კარატეს წრეც. გარდა ამისა, მოზარდების მხრიდან პრობლემა არ შეიქმნება გარკვეული საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, თავადაც მომხრეა, რომ გაიხსნას კრივის წრე, მაგრამ თავიდანვე ითქვა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ საკითხს ფინანსური მხარდაჭერა ვერ ექნებოდა, რადგან შესაძლებლობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება აქამდე არსებული სპორტული აქტივობებისთვის სათანადოდ ხელის შეწყობა. მიუხედავად დიდი სურვილისა, ახალი სახეობის დამატება მსჯელობის საკითხია, რადგან ამას ჭირდება შესაბამისი რესურსი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ სპორტული წრეები ვერ იფუნქციონირებს უფასოდ, რადგან მუნიციპალიტეტს არ აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ დაფაროს მათი ხარჯი. აქედან გამომდინარე, სარგებლობის სანაცვლოდ უნდა დაწესდეს შესაბამისი გადასახადი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** თავის მხრივ განმარტა, რომ მისი დიდი სურვილიც არის, რომ მუნიციპალიტეტში გაიხსნას კრივის წრე და ამის შესახებ კიდევაც ისაუბრეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ერთად, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერთან საკითხზე მსჯელობისას ითქვა, რომ მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობა ამას ვერ გასწვდება.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი